საჯარო სამართლის იურიდიული პირი -
ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის
აკადემიური საბჭო

დ ა დ გ ე ნ ი ლ ე ბ ა № 05

ქ. ბათუმი 29 იანვარი, 2018 წ.

ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტში დიპლომირებული მედიკოსის ერთსაფეხურიან (ინგლისურენოვანი) საგანმანათლებლო პროგრამაზე 2017-2018 სასწავლო წლის გაზაფხულის სემესტრის ორგანიზებულად წარმართვის შესახებ

„უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის 21-ე მუხლის 1-ლი პუნქტის, 33-ე მუხლის მე-4 პუნქტის, ბსუ-ს წესდების მე-8 მუხლის მე-4 პუნქტისა და საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა და ჯანდაცვის ფაკულტეტის დეკანის, მარინა ქორიძის სამსახურეობრივი ბარათის (MES 4 18 00078001, 26.01.2018) საფუძველზე, აკადემიურმა საბჭომ

დ ა ა დ გ ი ნ ა:

1. ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტში დიპლომირებული მედიკოსის ერთსაფეხურიან (ინგლისურენოვან) საგანმანათლებლო პროგრამაზე 2017-2018 სასწავლო წელს გაზაფხულის სემესტრის სასწავლო პროცესი სემესტრის (მეხუთე ნაკადის სტუდენტებისთვის პირველი სემესტრი) წარიმართოს შემდეგი ძირითადი მოთხოვნების შესაბამისად:

ა) 2017-2018 სასწავლო წლის გაზაფხულის სასწავლო პროცესი დაიწყოს 2018 წლის 29 იანვარს და დასრულდეს 16 ივნისს;

ბ) გაზაფხულის სემესტრის ძირითადი საგამოცდო სესია ჩატარდეს 2018 წლის 18 ივნისიდან 14 ივლისის ჩათვლით;

გ) გაზაფხულის სემესტრის დამატებითი საგამოცდო სესია ჩატარდეს 2018 წლის 23 ივლისიდან 4 აგვისტოს ჩათვლით.

2. დადგენილება განთავსდეს ბსუ–ს ვებგვერდზე და სახელმძღვანელოდ დაეგზავნოს ბსუ–ს შესაბამის სტრუქტურულ ერთეულებს.

3. დადგენილება ამოქმედდეს ხელმოწერისთანავე.

აკადემიური საბჭოს თავმჯდომარე,
რექტორი, ასოც. პროფესორი **მერაბ ხალვაში**